ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-12/13169160-16 09. 07. 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, ბელიაშვილის ქუჩა №40, (ყოფ.ჩაჩავას ქუჩა №6) შპს „რიო"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.13.01.005.004) მდებარედ მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სასაწყობო სავაჭრო-საოფისე შენობა) ექსპლუატაციაში მიღების შესახებ №ბ-12/2126-16 01.02.2013წ. ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

2013 წლის 06 ივნისს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს განცხადებით მომართა შპს „რიო"-ს და შპს „თერმარსენალი"-ის წარმომადგენელმა მოქ. ზაალ ვარსიმაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, ბელიაშვილის ქუჩა №40, (ყოფ.ჩაჩავას ქუჩა №6) შპს „რიო"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.13.01.005.004) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სასაწყობო სავაჭრო-საოფისე შენობა) ექსპლუატაციაში მიღების შესახებ №ბ-12/2126-16 01.02.2013წ. ბრძანებაში ცვლილებების შეტანა. მოქალაქე ზაალ ვარსიმაშვილმა წარმოადგინა ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის "თბილისის არქიტექტურის სამსახური"-ს №721279 13.06.2013წ. ბრძანება №427566 13.11.2012წ. ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელშიც მითითებულია, რომ ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის "თბილისის არქიტექტურის სამსახური"-ს მიერ დაკმაყოფილდა № AR11334109 24.05.2013წ. განცხადება და 13.11.2012წ. №427566 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება რომელშიც დამკვეთად დამატებულ იქნა შპს „თერმარსენალი"

ასევე როგორც განმცხადებელი აღნიშნავს არქიტექტურის სამსახურის ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.tas.ge) განთავსებული №308601 ბრძანების ელ. ვერსიის თარიღად მითითებულია 27.08.2012წ. ხოლო №427566 ბრძანების თარიღად 13.11.2012წ.

სამსახურმა განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ, ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის "თბილისის არქიტექტურის სამსახური"-ს №721279 13.06.2013წ. ბრძანება №427566 13.11.2012წ. ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ასევე ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის "თბილისის არქიტექტურის სამსახური"-ს ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.tas.ge) AR189845 და AR131213 განცხადებები და საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების, შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1) შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-12/2126-16 01.02.2013წ. ბრძანებაში

2) დამკვეთად დამატებულ იქნას: შპს „თერმარსენალი"

3) ბრძანებაში პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანების თარიღი 14.08.2012 წლი
ნაცვლად მიეთითოს „27.08.2012წ“ ხოლო მშენებლობის ნებართვის შესახე
ბრძანების თარიღი 09.11.2012 წლის ნაცვლად მითითებულ იქნას „13.11.2012წ“

4) წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობი
საქალაქო სამსახურის №12/2126-16 01.02.2013წ. ბრძანებასთან ერთად.

5) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი
შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/13169160-16 18.06.2013წ. №12/13169160-16 03.07.2013წ განცხადება.

უფროსის მოადგილე ვ. მუჯირიშვილი

